


ასტრონომებმა დიდი აფეთქების ნარჩენი ხედუხდებელი ღრუბელი აღმოაჩინეს



ჰავაის კეკის ობსერვატორიის ასტრონომებმა გასაოცარი აღმოჩენა გააკეთეს. ეს გახდავთ უძველესი სამყაროს უიშვიათესი რელიკვია – გაზის „ნამარხი ღრუბელი“, რომელიც დაახლოებით დიდი აფეთქების დროს არის წარმოქმნილი.

ასტრონომებს იმედი აქვთ, რომ ეს წარმოუდგენელი აღმოჩენა მრავალ ახალ ინფორმაციას მოგვანვდის სამყაროს წარმოშობისა და მისი აღრეული შეამდგენლობის შესახებ.

კვლევის ერთ-ერთი ავტორის, ფრედ რობერტის განცხადებით, სამყაროში ყველაგან, სადაც გაიხედავ, გაზები დაბინძურებულია აფეთქებულ ვარსკვლავთა მიერ გამოტყორცნილი მძიმე ელემენტებით, მაგრამ ეს კონკრეტული ღრუბელი წარმოუდგენდად სუფთა, ვარსკვლავებისგან დაუბინძურებელია დიდი აფეთქებიდან 1,5 მილიარდი წლის შემდეგაც კი.

ჯგუფმა კეკის ობსერვატორიის ორი სპექტრომეტრი გამოიყენა, რომლებსაც წარსულში ეგზობრანეტათა საძებნედად იყენებდნენ. ნამარხი ღრუბელი ასტრონომებმა უკიდურესად კაშკაშა კვაზარის წყარობით შენიშნეს. კვაზარი ციური სხეულია, რომელიც უზარმაზარი ოდენობის ენერგიას გამოყოფს.

როგორც სპექტრომეტრის მიერ შეგროვებული მონაცემებიდან ირკვევა, ღრუბელი უკიდურესად დაბარი სიმკვრივისაა, რამაც ასტრონომები დაარწმუნა, რომ ის „ნამდვირად დიდი აფეთქების რედიკიაა“. ცნობილია, რომ ასეთი ნაშთები თითქმის ხერხბრებელია აფეთქებულ ვარსკვლავთა ნაწილაკებისგან, რომლებითაც სავსეა დანარჩენი გალაქტიკა.

ამ განსაკუთრებული აღმოჩენის წყალობით, მსგავსი ნამარხი ღრუბელი შესაძლოა, მომავარშიც ბევრი აღმოვაჩინოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი ორი ასეთი ღრუბელი 2011 წელს შემთხვევით აღმოაჩინეს. კვლევის კიდევ ერთი ავტორის, მაიკლ მერფის განცხადებით, დიდი აფეთქების ასეთი ნაშთები დაგვეხმარება უკეთ გავარკვიოთ, როგორ წარმოქმნა ადრეულ სამყაროში გაზის გარკვეულმა ნაწილმა ვარსკვლავები და გალაქტიკები, ნაწილმა კი არა.

მომზადებულია futurism.com-ის მიხედვით.

ltv.ge